ირმა მალაციძე

სარეცხი მანქანა

კლასი IV
კითხვის დონე – 4.2
ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას და ნუგზარ არჩემაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნის მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

წიგნი მომზადდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ თანამშრომლობით.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

SAKPATENTI NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA www.sakpatent.org.ge

ირმა მალაციძე

სარეცხი მანქანა

გახსოვს
კომპოზიტორ
დორემიუს სოლასის ამბავი?
ახლა რასაც გიამბობ, ისიც
სწორედ ინტელექტიანაში მოხდა.
იქ ხომ უამრავი გამომგონებელი
ცხოვრობდა. რომ იცოდე, რას
აღარ იგონებდნენ ისინი! მერე მეზობელ
ქვეყანაში, სამართლიანაში, მიდიოდნენ.
თავისი გამოგონება ოფიციალურად უნდა
გაეფორმებინათ, დაეპატენტებინათ. ასე
თავის განსაკუთრებულ უფლებებს იცავდნენ.
ინტელექტიანაში სხვა პროფესიის
ადამიანებთან ერთად მრეცხავებიც
ცხოვრობდნენ. ისინი იმდენს
შრომობდნენ, დღე და ღამეს



ასწორებდნენ.

იოლი საქმე ხომ

არაა თეთრი პერანგების,

კაბების, მოსასხამების და ზეწრების

რეცხვა.

ინტელექტიანაში ერთი ცნობილი

გამომგონებელი ცხოვრობდა, მეტსახელად

„ევრიკა“. როგორც კი რაიმე ახალს

გამოიგონებდა, ხმამაღლა ყვიროდა: ევრიკა!

ევრიკაო!

ერთხელაც ევრიკამ ხალხს თავისი ახალი

გამოგონება გააცნო.

ჯერ კასრი მოაგორა. შიგ სათლით თბილი

წყალი ჩაასხა. ჩააგდო საპნის ნაჭერი.

გასარეცხი პერანგი და ორიოდე

ხელსახოცი ჩაყარა. მერე კასრზე

მიმაგრებული სახელური

დაატრიალა.
კასრი ქაფით
გაივსო. ცოტა ხანში
ევრიკამ წყლიდან გარეცხილი
პერანგი ამოიღო და გაწურა.
სულ რამდენიმე წუთში ქათქათა
პერანგი ჰაერში აფრიალდა.

– ნახეთ ჩემი ახალი გამოგონება – სარეცხი მანქანა! – საზეიმოდ გამოაცხადა გამომგონებელმა.

ხალხი გაოცებისაგან დადუმდა. მერე ერთბაშად იხუვლა, ევრიკა ხელში აიტაცა და ინტელექტიანას ქუჩები შეძახილებით მოატარა.

– ვაშა, ჩვენს გამომგონებელს! – ყვიროდა გახარებული ხალხი.

ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, მრეცხავებმა გაიხარეს.



სარეცხი
მანქანის
გამოგონების
ამბავმა მეკობრიანას
ხელმწიფის ყურამდეც მიაღწია.
– რაო? სარეცხი მანქანაო? ეს იმას
ნიშნავს, რომ ახლა მანქანა გარეცხავს
ჩვენს ტანსაცმელს? – გაიოცა ნაოჭამ.
– თქვენსას არა, თქვენო უნაოჭესობავ,
– წელში ორად მოიხარა მსახური. –
სარეცხი მანქანა მხოლოდ ინტელექტიანას
მცხოვრებლების სარეცხს გარეცხავს.
– რა უსამართლობაა! მეც მინდა ასეთი
მანქანა! ჩქარა წადით, ნახეთ, როგორ არის
მოწყობილი და სასწრაფოდ დამიმზადეთ!
– იყვირა ნაოჭამ და სულ გადაავიწყდა
სამართლიანას არსებობა.

– ახლავე,
თქვენო უნაოჭესობავ!
– თავი მდაბლად დაუკრეს
მსახურებმა და ინტელექტიანასკენ
გასწიეს. ერთი მრეცხავის სახლში
შეიპარნენ. ჯერ გულმოდგინედ
დაათვალიერეს უცნაური კასრი. შემდეგ
ნაწილ-ნაწილ დაშალეს, რომ გაეგოთ
როგორ მუშაობდა. რაღაც ჩაიწერეს,
რაღაც ჩაიხაზეს. მერე ძალიან დიდხანს
იწვალეს, მაგრამ მანქანა ვეღარ ააწყვეს...
რას იზამდნენ? მიატოვეს ასე დაშლილი და
საჩქაროდ უკან გაბრუნდნენ.
რამდენიმე დღეში ხელმწიფე ნაოჭას
უკვე საკუთარი სარეცხი მანქანა
ჰქონდა და ძალიან ბედნიერი იყო.



შიკრიკებმა
სარეცხი მანქანა
კი დაამზადეს, მაგრამ
ვაი ასეთ დამზადებას! არც ერთი
მექანიზმი სწორად არ მუშაობდა.
მანქანა რახრახებდა. საპნიანი წყალი
კასრიდან იღვრებოდა. ტანსაცმელი კი ისევ
ჭუჭყიანი რჩებოდა... ნაოჭა სიბრაზისაგან
სულ ცოფებს ჰყრიდა, ეს რა მანქანაა,
სარეცხი ვერ გაურეცხავსო. არც თქვენ
უქნიხართ ბუნებას, წესიერად ვერაფერს
აკეთებთო.

ამქვეყნად არაფერი იმალება... ვიღაცამ
ინტელექტიანაში ჩაიტანა ამბავი, – თქვენ
რომ სარეცხი მანქანა გამოიგონეთ,
ნაოჭამ თავის შიკრიკებს
დაამზადებინაო.

– რაოო?! –
ხმამაღლა შესძახა
ევრიკამ. – ჩემი გამოგონება
სხვამ მიისაკუთრა?! დროა,
კოპიტოსა და პატიტოს მივმართო.
ასეც მოიქცა. კოპიტო და პატიტო
მაშინვე მეკობრიანაში გაემგზავრნენ
ევრიკასთან ერთად და ხელმწიფე ნაოჭასთან
გამოცხადდნენ. კოპიტომ კანონების
ჩამონათვალი გაშალა.
– გაცნობებთ, რომ თქვენ მიითვისეთ
ევრიკას გამოგონება. ამით დაარღვიეთ
კანონი. მოვითხოვთ, შეიძინოთ
გამოგონებით სარგებლობის უფლება!
– განუცხადა მან ნაოჭას.



– რა ვქენი?

– შეცბა ხელმწიფე.

– თქვენ მიითვისეთ სხვისი საკუთრება, ამ შემთხვევაში – გამოგონება, – გაუმეორა კოპიტომ.

– მერედა რა ჯანდაბად მინდა? ნახეთ, რას ჰგავს აქაურობა! ლამის წყალმა წამიღოს. წესიერად ვერაფერს რეცხავს, – აყვირდა ნაოჭა.

– კარგად იმიტომ არ რეცხავს, რომ თქვენმა შიკრიკებმა მანქანა არასწორად გააკეთეს. ის რომ შექმნა, გარკვეული წესები უნდა დაიცვა. შეგეძლოთ გეკითხათ დაგასწავლიდით. ჩვენი მანქანები

ძალიან კარგად
მუშაობს! – აღშფოთდა
გამომგონებელი.

ნაოჭა მიხვდა, ჩხუბით არაფერი
გამოუვიდოდა და თავი მოისაწყლა:

– ძალიან მინდა, მეც მქონდეს კარგი
სარეცხი მანქანა... მითხარით, რა არის
ამისთვის საჭირო?

– თქვენ უნდა შეიძინოთ მისი დამზადების
უფლება. თუ ასე მოიქცევით, გამომგონებელი
თავად გაუმხელს თქვენს შიკრიკებს მისი
შექმნის საიდუმლოს. თქვენ შეგიძლიათ
დაამზადოთ, მაგრამ ინსტრუქცია სხვას არ
უნდა გაუმხილოთ, – უთხრა კოპიტომ.



– სხვათა
შორის, იმ სარეცხი
მანქანის შეკეთების საფასურიც
უნდა გადაიხადოთ, რომელიც თქვენმა
მსახურებმა დააზიანეს, – დაამატა
პატიტომ.

შიკრიკებმა ხმა ვეღარ ამოიღეს.

ნაოჭას ძალიან უნდოდა, საკუთარი
სარეცხი მანქანა ჰქონოდა. იფიქრა, იფიქრა
და მოიფიქრა, საპნის დამზადება დაეწყო და
ინტელექტიანა მოემარაგებინა. სანაცვლოდ
კი სარეცხი მანქანის გამოყენების უფლება
ითხოვა.

– მშვენიერია!
შეგიძლიათ
ისარგებლოთ გამოგონებით.
მაგრამ არ დაივიწყოთ, რომ ის
გამომგონებელმა ევრიკამ შექმნა!
– ერთხმად შესძახეს კოპიტომ და
პატიტომ.

მეკობრიანაში საპნის წარმოება დაიწყეს.
ისინი ინტელექტიანას უგზავნიდნენ საპონს.
სამაგიეროდ, სარეცხი მანქანის გამოყენების
უფლება მოიპოვეს. ამის შემდეგ ორივე
ქვეყნის მცხოვრებლები სუფთა ტანსაცმლით
დადიოდნენ. ხელმწიფე ნაოჭაც გამოსწორდა:
კანონს იცავდა და სხვებისგანაც იმავეს
მოითხოვდა. ხოლო მეკობრეობის ამბებს
მხოლოდ შვილიშვილებთან საუბრისას
იხსენებდა.